შპს პოლივიმი
POLYVIM LLC

+995 32 230 96 21
info@polyvim.com
www.polyvim.com
ID: 405261915

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბ-ნ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 11-ე მუხლის საფუძველზე წარმოგიდგენთ, შპს „პოლივიმის" მიერ მომზადებულ პოლიეთილენ-ტერეფტალატის ბოთლების რეციკლირებისა და პოლიეთერის ბოჭკოს საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს. ზემოხსენებული კოდექსის მე-8 მუხლის საფუძველზე, აღნიშნულმა პროექტმა გაიარა სკოპინგის პროცედურა და მასზე გაცემულია №59 04.12.2018 სკოპინგის დასკვნა. კომპანია გეგმავს პოლიეთერის სინთეზური ბოჭკოს საწარმოს აშენებას გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფელ მარტყოფში, რომელიც ნედლეულის სახით მოიხმარს პოლიეთილენ-ტერეფტალატის (PET) მეორად ბოთლებს. კომპანიააწარმოებს ბოჭკოს ირანში და ამარაგებს როგორც ადგილობრივ ბაზარს, ასევე საქართველოს, თურქეთსა და ევროკავშირის არაერთ ქვეყანას. პროექტის მიხედვით, კი იგეგმება აღნიშნული ქარხნის მოქმედი ხუთი საწარმოო ხაზიდან ერთ-ერთი მათგანის გადმოტანა საქართველოში.
წერილს თან ერთვის:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია - 2 ეგზემპლარი;
- გზშ-ს ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - 3 ეგზემპლარი;
- გზშ-ს მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი;
- მიწის განაშენიანებისა და ნაგებობების განლაგების ძირითადი გეგმის ელექტრონული ვერსია;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით;
- ამონაწერი სამეწარმეო და საჯარო რეესტრიდან;
- გზშ-ს ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიები;

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „პოლივიმის" პოლიეთილენ-ტერეფტალატის ბოთლების რეციკლირების და პოლიეთერის ბოჭკოს საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე.

დანართი: 1 დისკი

პატივისცემით,

შპს „პოლივიმის" დირექტორი
ბ-ნი ქამრან ფარიზადმაშჰადი

13/03/2019

დავით გამრეკელის ქ. 2; 0194 თბილისი, საქართველო
2. David Gamrekeli Str, 0194 Tbilisi, GEORGIA

№ 3828
"13" 03 2019
1. ფ.